საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2019/01
05/03/2021

2019-01-2-202103051109

შპს „იმედი-8“-ს

მის: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 23 თებერვლის N3091 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა სიმონეთში ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამახარისხებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, წყალაღება დაგეგმილია მდ. ყვირილადან, თუმცა წარმოდგენილი წყალაღების კოორდინატების ელექტრონული გადამოწმებით წყალაღების წერტილი ემთხვევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (ს/კ 33.05.37.355) მიწის ნაკვეთზე მდებარე ტბორს, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის საწარმოს წყალმომარაგების შესახებ, ასევე სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ავტოგასამართი მოედნის გადახურვის და მობეტონების, საწვავის მიღების, ავზში ჩატვირთვის და ავტოტრანსპორტის გამართვის შესახებ ინფორმაცია და შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის საკითხი;
- ინფორმაცია ნავთობპროდუქტების რეზერვუარის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ტექნოლოგიური დანადგარების ნაწილი და მიმდინარეობს მათი გამართვის სამუშაოები, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს მოსაწყობად გათვალისწინებული შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მას შემდეგ, რაც შპს „იმედი-8“ უზრუნველყოფს განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე